

ეკოლოგია - დასაქმების სფეროები და პერსპექტივები

დღემდე საქართველოს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ამზადებდა უშუალოდ გარემოს დაცვის პროფილის სპეციალისტებს, რის გამოც იგრძნობა მათი მკვეთრი ნაკლებობა.

სპეციალობის შექმნის შემდეგ კურსდამათავრებულს გაეხსნება ფართო ასპარეზი პროფესიული საქმიანობისათვის როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე კერძო სექტორში.

გარემოს დაცვის პროფილის სპეციალისტებზე განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტებსა და პროგრამებში. ამჟამად გარემოს დაცვის კუთხით მიმდინარეობს 50-ზე მეტი პროექტი. 2011 წელს განხორციელდება 20-მდე პროექტი საერთო დაფინანსებით დაახლოებით 23 მილიონი ევრო.

მომდევნო წლებში პროექტების რაოდენობა და დაფინანსების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. მაგალითად, კლიმატის ცვლილების კონვენციის კუთხით განვითარებულმა ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება 2013 წლიდან მოყოლებული 2020 წლის ჩათვლით განვითარებად ქვეყნებს გამოუყონ ყოველწლიურად 100 მილიარდი აშშ დოლარი ამ ქვეყნებში კლიმატის ცვლილებასთან შეგუებისა და კლიმატის ცვლილების პროცესის შემაკავებელი პროექტებისა და პროგრამების დასაფინანსებლად.

საქართველოში გარემოსდაცვითი პროგრამებისა და პროექტების მომზადება- განხორციელება მოითხოვს შესაბამისი პროფილის კვალიფიციურ კადრებს, რომელთა მომზადებასაც იწყებს ჩვენი უნივერსიტეტი.